Co-funded by the European Union

JEAN MONNET TEACHING MODULE
EUROPEAN IDEOLOGIES AND VALUES

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ევროპული ღირებულებები და იდეოლოგიები
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის ანოტაცია	კურსის მიზანია ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს მიაწოდოს საბაზისო ცოდნა თანამედროვე ევროპული ღირებულებებისა და იდეოლოგიების შესახებ. ევროპაში პოლიტიკური იდეოლოგიების წყარო, ძირითადად, პოლიტიკური პარტიები არიან, როგორც ეროვნულ, ასევე ევროკავშირის დონეზე. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან აკადემიურ დისკუსიებს ყველაზე დომინანტური ევროპული იდეოლოგიების - ქრისტიანული დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიის - ძირითადი მახასიათებლების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტები გაეცნობიან ევროპის ლიბერალური და მწვანე პარტიების იდეოლოგიურ საფუძვლებს. კურსის მეორე ნაწილში განხილული იქნება მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტური გამოწვევები მეინსტრიმული ევროპული იდეოლოგიების მიმართ და მათი გავლენა ევროკავშირისა და მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ სისტემებზე.
სასწავლო კურსის სტატუსი	☐ სავალდებულო ☒ არჩევითი
ECTS	5
სკოლა	სახელმწიფო მართვის სკოლა
სწავლის საფეხური	☒ ბაკალავრიატი ☐ მაგისტრატურა ☐ დოქტორანტურა
სწავლების სემესტრი	5

ლექტორი:	გიორგი ცხადაია
სამუშაო ადგილი	კავკასიის უნივერსიტეტი
აკადემიური ხარისხი	დოქტორი
აკად. თანამდებობა	პროფესორი
ტელეფონი	+995 595 34 44 50
ელ–ფოსტა	gtskhadaia@cu.edu.ge
კონსულტაციის დრო	ხუთშაბათი

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	

სასწავლო კურსის ფორმატი	125 საათი	
ლექცია-სემინარი	24	
შუალედური და დასკვნითი გამოცდები	4	
დამოუკიდებელი მუშაობა	92	
კონსულტაცია	5	

სასწავლო კურსის მიზანი	ამ კურსის მთავარი მიზანია ბაკალავრის ეტაპის სტუდენტებისთვის ევროკავშირსა და მის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში გავრცელებული ფუნდამენტური ევროპული ღირებულებებისა და იდეოლოგიების გაცნობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ისტორიულად დომინანტურ პოლიტიკურ იდეოლოგიებზე - ქრისტიანულ დემოკრატიასა და სოციალ-დემოკრატიაზე. თანდათანობით, სტუდენტები ასევე გაეცნობიან, ევროპის მასშტაბით, ლიბერალურ და მწვანე პარტიებთან ასოცირებულ შედარებით ნაკლებად დომინანტურ იდეოლოგიებს. ბოლოს, განხილული იქნება მემარჯვენე და მემარცხენე პოპულიზმის როლი თანამედროვე ევროპულ პოლიტიკაში, განსაკუთრებული აქცენტით იმაზე, თუ რა გავლენა აქვთ მათ ევროკავშირსა და მის მომავალზე.

სწავლის შედეგი	**სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს გამოავლინოს შემდეგი უნარები:** **ცოდნა და გაცნობიერება:** • **განსაზღვრავს ევროკავშირისა და მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ სივრცეებში გაბატონებულ ძირითად ღირებულებებსა და იდეოლოგიებს;** • **ესმის პოლიტიკური იდეოლოგიების როლი ევროკავშირსა და მის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში;** • **აღწერს თანამედროვე ევროპული იდეოლოგიების განვითარების სხვადასხვა ეტაპს;** • **ესმის თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც ევროკავშირი დგას მემარჯვენე და მემარცხენე პოპულიზმის აღზევების ფონზე.** **უნარი:** • **აანალიზებს ევროკავშირსა და მის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში გავრცელებულ ღირებულებებსა და იდეოლოგიებს;** • **აანალიზებს, თუ როგორ გარდაიქმნა ევროპული ღირებულებები და იდეოლოგიები ბოლო ათწლეულების განმავლობაში.** **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** • **ახორციელებს ჯგუფურ კვლევით პროექტს, რათა კრიტიკულად შეისწავლოს თანამედროვე ევროპული იდეოლოგიები, რომლებსაც ძირითადად პოლიტიკური პარტიები ავრცელებენ.**

სავალდებულო ლიტერატურა	მწვანე ალტერნატივა. 2013. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. ნანობაშვილი, იოსებ. 2023. პარტიული პოლიტიკა ევროკავშირში. გამომცემლობა „მერიდიანი“. ფაუტი, სიმონ და სხვები. 2013. სოციალური დემოკრატიის კურსი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. Agustín, Óscar García. 2020. Left Wing Populism: The Politics of People. Emerald Points,

	pp. 13-31. Berman, Sheri, and Maria Snegovaya. 2019. “Populism and the Decline of Social Democracy”. Journal of Democracy 30 (3), pp. 5-19. Close, Caroline, and Emilie van Haute. 2019. Liberal Parties in Europe: Conclusion. In Liberal Parties in Europe, Caroline Close and Emilie van Haute (eds.). London and New York: Routledge, pp. 364-371. Enyedi, Zsolt. 2020. “Right-Wing Authoritarian Innovations in Central and Eastern Europe”, East European Politics, 36 (3), pp. 363-377. Hegstad, Eilev (Ed.). 2023. Christian Democracy: English addendum to the Norwegian edited volume: Kristendemokrati. In Kristendemokrati. Universitetsforlaget. Priester, Karin. 2018. Right-Wing Populism in Europe. In Populism, Populists, and the Crisis of Political Parties A Comparison of Italy, Austria, and Germany 1990-2015, Günther Pallaver, Michael Gehler and Maurizio Cau (eds.), Fondazione Bruno Kessler, pp. 45-56. Van Haute, Emilie. 2016. Conclusion: Green Parties in Europe: Which Family Ties? In Green Parties in Europe, Emilie van Haute (ed.). London: Routledge, pp. 315-321. Van Kersbergen, Kees. 2021. “Christian Democracy and Europe.” In The Oxford Handbook of Religion and Europe, Grace Davie, and Lucian N. Leustean (eds.). Oxford: Oxford University Press, pp. 194-214.

დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	Accetti, Carlo Invernizzi. 2019. What Is Christian Democracy? Politics, Religion and Ideology. Cambridge: Cambridge University Press. Accetti, Carlo Invernizzi. 2021. “The European Union as a Christian Democracy: A Heuristic Approach.” In Ideologies and the European Union, Carlo Invernizzi Accetti, and Jonathan White (eds). London: Routledge. Berger, Stefan. 2000. Social Democracy and the Working Class in Nineteenth and Twentieth Century Germany. London: Routledge. Berman, Sheri. 2006. The Primacy of Politics: Social Democracy and the Making of Europe’s Twentieth Century. Cambridge: Cambridge University Press, pp. 20-28; 35-43; 108-109; 177-188. Benedetto, Giacomo, Simon Hix, and Nicola Mastrorocco. 2020. “The Rise and Fall of Social Democracy, 1918–2017.” American Political Science Review 114 (3), pp. 928–39. Biedenkopf, Katja, Ellen Vanderschueren, and Franziska Petri. 2023. Riding the Green Wave? Green Electoral Success and the European Green Deal. In The EU Political System After the 2019 European Elections, Olivier Costa, and Steven Van Hecke (eds). Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan. Burchell, Jon. 2002. The Evolution of Green Politics: Development and Change within European Green Politics. London: Earthscan Publications Limited. Calossi, Enrico, and Lorenzo Cicchi. 2019. European Parliament Political Groups and European Political Parties: Development and Relationship between Two Faces of the EU Political System. Quaderni del circolo rosselli (QCR) 39 (2), pp. 15-31. Cellini, Jacopo. 2018. “The Idea of Europe at the Origins of the European People’s Party: The Making of the European Manifesto and of the EPP’s Political Programme”. Journal of European integration history 24 (1), pp. 79-94. Close, Caroline, and Emilie van Haute (eds). 2019. Liberal Parties in Europe. London and New York: Routledge. Damiani, Marco. 2018. Radical Left Wing Populism and Democracy in Europe. In Routledge Handbook of Global Populism, Carlos de la Torre (ed.). London: Routledge. Goes, Eugene. 2024. Social Democracy. Newcastle upon Tyne: Agenda Publishing. Huo, Jingjing. 2009. Third Way Reforms: Social Democracy after the Golden Age. Cambridge: Cambridge University Press. Johansson, Karl Magnus, and Tapio Raunio. "Political Parties in the European Union."

	Oxford Research Encyclopedia of Politics. Kaiser, Wolfram. 2007. Christian Democracy and the Origins of the European Union. Cambridge: Cambridge University Press. Kalyvas, Stathis N. 1996. The Rise of Christian Democracy in Europe. Ithaca and London: Cornell University Press. Kirchner, Emil. 1988. Liberal Parties in Western Europe. Cambridge: Cambridge University Press. Kosowska-Gąstoł, Beata. 2018. "A Truly 'European' Christian Democracy? The European People's Party." In Christian Democracy Across the Iron Curtain, Piotr H. Kosicki, and Sławomir Łukasiewicz (eds.). Palgrave Macmillan, pp. 127-150. Petrović, Nikola, Višeslav Raos, and Filip Fila. 2022. "Centrist and Radical Right Populists in Central and Eastern Europe: Divergent Visions of History and the EU." Journal of Contemporary European Studies 31 (2), pp. 268–90. Rodi, Patricia, Lazaros Karavasilis, and Leonardo Puleo. 2021. "When Nationalism Meets Populism: Examining Right-Wing Populist and Nationalist Discourses in the 2014 & 2019 European Parliamentary Elections." European Politics and Society 24 (2), pp. 284–302. Singer, Peter. 2001. Marx: A Very Short Introduction. Oxford: Oxford University Press. Sondel-Cedarmas, Joanna and Francesco Berti. 2022. The Right-Wing Critique of Europe: Nationalist, Sovereignist, and Right-Wing Populist Attitudes to the EU. London: Routledge. Stavrakakis, Yannis, and Giorgos Katsambekis. 2014. "Left-Wing Populism in the European Periphery: The Case of SYRIZA." Journal of Political Ideologies 19 (2), pp. 119–42. Szelewa, Dorota. 2020. "Recurring Ideas: Searching for the Roots of Right-Wing Populism in Eastern Europe." European Journal of Cultural Studies 23 (6).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	**სწავლების პერიოდში გამოყენებული იქნება შემდეგი სახის მეთოდები:** 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი. 3. წერითი მუშაობის მეთოდი 4. დისკუსია/დებატები 5. ჯგუფური (collaborative) მუშაობა

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

გამოკითხვის ფორმა	**რაოდენობა**	**შეფასება**	**სულ ქულათა რაოდენობა**
წერითი გამოკითხვა	**6**	**5**	**25**
პრეზენტაცია	**1**	**1**	**20**
შუალედური გამოცდა	**1**	**25**	**25**
დასკვნითი გამოცდა	**1**	**30**	**30**
		ჯამი:	**100 ქულა**

ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით

უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული მეთოდისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე კომპონენტში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

კურსის შეფასების კრიტერიუმები:

წერითი გამოკითხვა (გამოქვითვის მეთოდი)

ლექციის მსვლელობისას ლექტორი სთხოვს სტუდენტებს, წერილობით უპასუხონ მოცემულ საკითხავ მასალასთან დაკავშირებულ ხუთ კითხვას.

ჯგუფური პრეზენტაცია

მაქსიმუმ 3 ან 4 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი (კლასის ზომის მიხედვით) წარმოადგენს პრეზენტაციებს ევროკავშირის დონის პარტიების პარტიული პროგრამების შესახებ (თუ ყველა ევროკავშირის დონის პარტიული პროგრამა დაფარულია, სტუდენტებს უფლება ექნებათ წარმოადგინონ ეროვნული დონის პარტიული პროგრამები). პრეზენტაციები უნდა გაგრძელდეს მაქსიმუმ 25 წუთი. თითოეული სტუდენტი შეფასდება ინდივიდუალურად. სტუდენტები შეფასდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეალურად დაესწრებიან ლექციას. მხოლოდ წერილობითი პრეზენტაციის გამოგზავნის შემთხვევაში სტუდენტის მაქსიმალური ქულა იქნება 5 და წერილობითი პრეზენტაცია შეფასდება ქვემოთ მოცემული „ცოდნის“ კრიტერიუმებით.

შეფასების კრიტერიუმები:

ცოდნა:

სტუდენტი ავლენს თემის შესანიშნავ ცოდნას - 5 ქულა;
სტუდენტი ავლენს თემის კარგ ცოდნას, მაგრამ გამოტოვებული აქვს გარკვეული დეტალები - 4 ქულა;
სტუდენტი ავლენს თემის საშუალო ცოდნას - 3 ქულა;
სტუდენტი ავლენს თემის სუსტ ცოდნას/გამოტოვებული აქვს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები - 2 ქულა;
სტუდენტი ავლენს თემის ძალიან სუსტ ცოდნას - 1 ქულა.

მჭევრმეტყველება:

სტუდენტი ძალიან მჭევრმეტყველია და შეუძლია ჩანაწერების ეფექტურად გამოყენება (ან ჩანაწერების გარეშე თემის ეფექტურად წარმოდგენა) - 5 ქულა;
სტუდენტი ძირითადად მჭევრმეტყველია, მაგრამ თემას გადმოსცემს გარკვეული მცირე ხარვეზებით (გრამატიკული შეცდომები, ბევრი „მმ"-, უხერხული სიჩუმე, ჩანაწერებში საჭიროზე მეტხანს ყურება, შეუფერებელი შენიშვნები და ა.შ.). – 4 ქულა;
სტუდენტი საკმაოდ მჭევრმეტყველია, მაგრამ ის თემას წარმოადგენას გარკვეული ხარვეზებით (გრამატიკული შეცდომები, ბევრი „მმ"-, უხერხული სიჩუმე, ჩანაწერებში საჭიროზე მეტხანს ყურება, შეუფერებელი შენიშვნები და ა.შ.). – 3 ქულა;
სტუდენტი მხოლოდ ნაწილობრივ მჭევრმეტყველია და მის მეტყველებას თან სდევს მნიშვნელოვანი ხარვეზები; სტუდენტი ნაწილობრივ კითხულობს ჩანაწერებიდან – 2 ქულა;
სტუდენტი თემას გადმოსცემს ძალიან სერიოზული ხარვეზებით;; სტუდენტი ძირითადად კითხულობს ჩანაწერებიდან – 1 ქულა.

ვიზუალური საშუალებები:

სტუდენტი ეფექტურად იყენებს ვიზუალურ საშუალებებს; ვიზუალური საშუალებები არის მკაფიო, მარტივი და კარგად შეხამებული ვერბალურ ნაწილთან – 5 ქულა.
სტუდენტი ძირითადად ეფექტურად იყენებს ვიზუალურ საშუალებებს, მაგრამ ისინი ყოველთვის არ არის მკაფიო, მარტივი ან კარგად კოორდინირებული ვერბალურ ნაწილთან – 4 ქულა;
სტუდენტი საკმაოდ ეფექტურად იყენებს ვიზუალურ საშუალებებს, თუმცა ზოგჯერ ისინი ძალიან რთული, გადატვირთულია და ცუდად არის კოორდინირებული ვერბალურ ნაწილთან – 3 ქულა;
სტუდენტი ცუდად იყენებს ვიზუალურ საშუალებებს, რაც ართულებს მათ წაკითხვას ან ინტერპრეტაციას – 2 ქულა;
სტუდენტი იყენებს ძალიან დაბალი ხარისხის ვიზუალურ საშუალებებს ან ძალიან არასაკმარისად – 1 ქულა.

აუდიტორიასთან ურთიერთობა:

სტუდენტი თავდაჯერებულია და კარგად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, არ უყურებს ლექტორს და ყურადღებას აქცევს მთელ კლასს – 5 ქულა;
სტუდენტი კარგად ურთიერთობს აუდიტორიასთან, მაგრამ შესამჩნევია რამდენიმე მცირე ნაკლი (ლექტორისკენ ცოტა ზედმეტად ყურება, აუდიტორიისადმი უყურადღებობა) – 4 ქულა;
სტუდენტი საკმაოდ კარგად ურთიერთობს აუდიტორიასთან, აქა-იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებით (ლექტორისკენ ყურება, აუდიტორიისადმი უყურადღებობა) – 3 ქულა;
სტუდენტი ცუდად ურთიერთობს აუდიტორიასთან, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით (ლექტორისკენ ყურება, აუდიტორიისადმი ძალიან უყურადღებობა) – 2 ქულა;
სტუდენტი მხოლოდ უმნიშვნელოდ ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში და ძალიან მცირე ყურადღებას იჩენს აუდიტორიის მიმართ – 1 ქულა.

შუალედური გამოცდა

შუალედური გამოცდა შედგება 5 ღია კითხვისგან (მაქსიმუმ 5 ქულა თითოეული). ყველა კითხვა დაკავშირებული იქნება წინასწარ მოცემულ საკითხავ მასალასთან.

შეფასების კრიტერიუმები:

პასუხი სწორია და სტუდენტი საფუძვლიანად განიხილავს მოცემულ საკითხავ მასალას - 5 ქულა;
პასუხი სწორია, მაგრამ შეიცავს მცირე შეცდომებს ან ზოგიერთი დეტალი გამოტოვებულია - 4 ქულა;
პასუხი ნაწილობრივ სწორია, ან მხოლოდ ნაწილობრივ განიხილავს მოცემულ საკითხავ მასალას - 3 ქულა;
პასუხი არათანმიმდევრული და დამაბნეველია, ან მოცემული საკითხავი მასალის მხოლოდ გარკვეულ ნაწილებს

ეხება - 2 ქულა;
პასუხი ძალიან არასაკმარისია - 1 ქულა.

დასკვნითი გამოცდა

დასკვნითი გამოცდა შედგება 1 ესესგან (მაქსიმუმ 20 ქულა) და 2 ღია კითხვისგან (მაქსიმუმ 5 ქულა თითოეული). როგორც ესე, ასევე ღია კითხვები ეხება შუალედური გამოცდის შემდეგ მოცემულ საკითხავ მასალას.

ესეს შეფასების კრიტერიუმები:

არგუმენტაცია:

სტუდენტს მოჰყავს კარგი არგუმენტები თავისი პოზიციის დასაცავად; წარმოდგენილია მინიმუმ ორი არგუმენტი (ან ერთი არგუმენტი და ერთი უარყოფილი კონტრარგუმენტი) - 8 ქულა;
სტუდენტი მოჰყავს კარგი არგუმენტები თავისი პოზიციის დასაცავად; წარმოდგენილია მინიმუმ ორი არგუმენტი (ან ერთი არგუმენტი და ერთი უარყოფილი კონტრარგუმენტი), მაგრამ არის მცირე შეუსაბამობები ან ფაქტობრივი უზუსტობები მსჯელობაში - 7 ქულა.
სტუდენტს მოჰყავს კარგი არგუმენტები თავისი პოზიციის დასაცავად; წარმოდგენილია მინიმუმ ორი არგუმენტი (ან ერთი არგუმენტი და ერთი უარყოფილი კონტრარგუმენტი), მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები რჩება განუხილველი - 6 ქულა;
სტუდენტს მოჰყავს ერთი კარგი და ერთი ცუდი არგუმენტი (ან ცუდად უარყოფილი კონტრარგუმენტი) - 5 ქულა;
სტუდენტს მხოლოდ ერთ კარგ არგუმენტს მოჰყავს – 4 ქულა;
სტუდენტს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე უკიდურესად ცუდი არგუმენტი მოჰყავს, რომლებიც სავსეა შეუსაბამობებით ან ფაქტობრივი უზუსტობებით – 3 ქულა;
სტუდენტს ძალიან დამაბნეველი არგუმენტები მოჰყავს – 2 ქულა;
სტუდენტს ძლივს მოჰყავს ერთი არგუმენტი, რომელიც უკიდურესად ბუნდოვანია – 1 ქულა.

ცოდნა:

სტუდენტი ავლენს საკითხავი მასალის ფართო ცოდნას – 5 ქულა;
სტუდენტი ავლენს საკითხავი მასალის კარგ ცოდნას, მაგრამ მას გამოტოვებული აქვს ზოგიერთი მცირე დეტალი – 4 ქულა;
სტუდენტი ავლენს საკითხავი მასალის საშუალო ცოდნას – 3 ქულა;
სტუდენტი ავლენს საკითხავი მასალის გარკვეულ ცოდნას, მაგრამ მას გამოტოვებული აქვს მნიშვნელოვანი დეტალები – 2 ქულა;
სტუდენტი ავლენს საკითხავი მასალის არასაკმარის ცოდნას – 1 ქულა.

სტრუქტურა:

ესე მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, შესავლით, ძირითადი ნაწილით და დასკვნით; აბზაცები ლოგიკურად ერთმანეთისგან გამომდინარეობს – 4 ქულა.
ესე ძირითადად მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, შესავლით, ძირითადი ნაწილით და დასკვნით, მაგრამ აბზაცები ყოველთვის არ გამომდინარეობს ლოგიკურად ერთმანეთისგან – 3 ქულა.
ესეს აკლია შესავალი ან დასკვნა, ან აბზაცები დიდწილად ლოგიკურად არ გამომდინარეობს ერთმანეთისგან - 2 ქულა;
ესეს აკლია როგორც დასკვნა, ასევე შესავალი, და/ან აბზაცები არ გამომდინარეობს ერთმანეთისგან - 1 ქულა.

ნაწერი:

ნაწერი ნათელი და გასაგებია - 3 ქულა;
ნაწერი ნაწილობრივ ნათელი ან გასაგებია - 2 ქულა;
ნაწერი ძალიან ბუნდოვანი ან გაურკვეველია - 1 ქულა.

ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმები:

პასუხი სწორია და სტუდენტი საფუძვლიანად განიხილავს მოცემულ საკითხავ მასალას - 5 ქულა;
პასუხი სწორია, მაგრამ შეიცავს მცირე შეცდომებს ან ზოგიერთი დეტალი გამოტოვებულია - 4 ქულა;
პასუხი ნაწილობრივ სწორია, ან მხოლოდ ნაწილობრივ განიხილავს მოცემულ საკითხავ მასალას - 3 ქულა;

პასუხი არათანმიმდევრული და დამაბნეველია, ან მოცემული საკითხავი მასალის მხოლოდ გარკვეულ ნაწილებს ეხება - 2 ქულა; პასუხი ძალიან არასაკმარისია - 1 ქულა.

ლექციებისა და სემინარების სემესტრში საათობრივი გადანაწილება			
I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
ლექცია; 2 საათი	ლექცია; 2 საათი	ლექცია- 1 საათი; სემინარი - 1 საათი; (წერითი გამოკითხვა)	ლექცია; 2 საათი
V კვირა	VI კვირა	VII – IX კვირა	X კვირა
ლექცია; 2 საათი	ლექცია- 1 საათი; სემინარი - 1 საათი; (წერითი გამოკითხვა)	შუალედური გამოცდა 2 საათი	ლექცია 2 საათი
XI კვირა	XII კვირა	XIII კვირა	XIV კვირა
ლექცია 2 საათი	ლექცია- 1 საათი; სემინარი - 1 საათი; (წერითი გამოკითხვა)	ლექცია 2 საათი	ლექცია 2 საათი
XV კვირა	XVI კვირა	XVII–XIX კვირა	XX კვირა
ლექცია- 1 საათი; სემინარი - 1 საათი; (წერითი გამოკითხვა)	ლექცია 2 საათი (პრეზენტაცია)	დასკვნითი 2 საათი გამოცდა	დასკვნითი გამოცდის გადაბარება

სასწავლო კურსის შინაარსი

მეცადინეობების კალენდარული გეგმა					
მეცადინეობის დრო და ადგილი		დღე -	დაწყება -	დამთავრება -	აუდიტორია-
N	თარიღი	მეცადინეობის თემა, საშინაო დავალება, ლიტერატურა			
1-ლი კვირა		🕮 **თემა 1. სოციალური დემოკრატიის საფუძველები I** **განსახილველი საკითხები:** • ფუძემდებლური ეკონომიკური თეორიები; • ადამ სმიტი; • კარლ მარქსი.			
		სავალდებულო ლიტერატურა			
		ფაუტი, სიმონ და სხვები. 2013. სოციალური დემოკრატიის კურსი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გვ. 6-22.			
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა			
		Goes, Eugene. 2024. Social Democracy. Newcastle upon Tyne: Agenda Publishing. Singer, Peter. 2001. Marx: A Very Short Introduction. Oxford: Oxford University Press.			
მე- 2 კვირა		🕮 **თემა 2. სოციალური დემოკრატიის საფუძველები II** **განსახილველი საკითხები:** • ჯონ მეინარდ კეინსი: კაპიტალიზმის მართვა; • ეკონომიკური თეორიების იდეალური ტიპები; • ეკონომიკა დღეს.			

		სავალდებულო ლიტერატურა
		ფაუტი, სიმონ და სხვები. 2013. სოციალური დემოკრატიის კურსი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გვ. 23-30; 55-64.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Berger, Stefan. 2000. Social Democracy and the Working Class in Nineteenth and Twentieth Century Germany. London: Routledge. Berman, Sheri. 2006. The Primacy of Politics: Social Democracy and the Making of Europe's Twentieth Century. Cambridge: Cambridge University Press, pp. 20-28; 35-43; 108-109; 177-188.
მე- 3 კვირა		**📖 თემა 3. სოციალ-დემოკრატიის კრიზისი** **განსახილველი საკითხები:** • **ნეოლიბერალური კონსენსუსის აღზევება;** • **სოციალ-დემოკრატიის ცენტრისკენ გადანაცვლება და ნეოლიბერალური რეფორმების მიღება;** • **პოლიტიკური შედეგები სოციალ-დემოკრატიისთვის.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		Berman, Sheri, and Maria Snegovaya. 2019. "Populism and the Decline of Social Democracy". Journal of Democracy 30 (3), pp. 5-19. ქვიზი I.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Benedetto, Giacomo, Simon Hix, and Nicola Mastrorocco. 2020. "The Rise and Fall of Social Democracy, 1918–2017." American Political Science Review 114 (3), pp. 928–39. Huo, Jingjing. 2009. Third Way Reforms: Social Democracy after the Golden Age. Cambridge: Cambridge University Press.
მე- 4 კვირა		**📖 თემა 4. ქრისტიანული დემოკრატიის არსი** **განსახილველი საკითხები:** • ქრისტიანული დემოკრატიის ხუთი იდეოლოგიური საყრდენი; • სოციალური კაპიტალიზმი.
		სავალდებულო ლიტერატურა
		Hegstad, Eilev (Ed.). 2023. Christian Democracy: English addendum to the Norwegian edited volume: Kristendemokrati. In Kristendemokrati. Universitetsforlaget. ქვიზი II.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Accetti, Carlo Invernizzi. 2019. What Is Christian Democracy? Politics, Religion and Ideology. Cambridge: Cambridge University Press. Kalyvas, Stathis N. 1996. The Rise of Christian Democracy in Europe. Ithaca and London: Cornell University Press.
მე- 5 კვირა		**📖 თემა 5. ქრისტიან-დემოკრატია და ევროკავშირის ჩამოყალიბება** **განსახილველი საკითხები;** • კათოლიკური კონფესიური პარტიების ფორმირება; • ქრისტიანული დემოკრატიის ინტელექტუალური წყაროები; • ქრისტიანული დემოკრატია და ევროკავშირი.
		სავალდებულო ლიტერატურა
		Van Kersbergen, Kees. 2021. "Christian Democracy and Europe." In The Oxford Handbook of Religion and Europe, Grace Davie, and Lucian N. Leustean (eds.). Oxford: Oxford University Press, pp. 194-214.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Accetti, Carlo Invernizzi. 2021. "The European Union as a Christian Democracy: A Heuristic Approach." In Ideologies and the European Union, Carlo Invernizzi Accetti, and Jonathan White

		(eds). London: Routledge. Kaiser, Wolfram. 2007. Christian Democracy and the Origins of the European Union. Cambridge: Cambridge University Press.
მე- 6 კვირა		**📖 თემა 6. ევროპის სახალხო პარტია** **განსახილველი საკითხები;** • ევროპის სახალხო პარტიის ისტორია; • ევროპის სახალხო პარტია დღეს; • ევროპის სახალხო პარტიის სამოქმედო პრიორიტეტები.
		სავალდებულო ლიტერატურა
		ნანობაშვილი, იოსებ. 2023. პარტიული პოლიტიკა ევროკავშირში. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 127-138. ქვიზი III.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Cellini, Jacopo. 2018. “The Idea of Europe at the Origins of the European People’s Party: The Making of the European Manifesto and of the EPP’s Political Programme”. Journal of European integration history 24 (1), pp. 79-94. Kosowska-Gąstoł, Beata. 2018. “A Truly ‘European’ Christian Democracy? The European People’s Party.” In Christian Democracy Across the Iron Curtain, Piotr H. Kosicki, and Sławomir Łukasiewicz (eds.). Palgrave Macmillan, pp. 127-150.
მე- 7- მე-9 კვირა		**შუალედური გამოცდა**
მე- 10 კვირა		**📖 თემა 7. ლიბერალიზმი და ევროპის ლიბერალური პარტია (ALDE)** **განსახილველი საკითხები:** • **ლიბერალიზმის არსი;** • **ლიბერალური პარტიები ევროპასი;** • **ALDE;** • **ALDE-ს პრიორიტეტები.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		ნანობაშვილი, იოსებ. 2023. პარტიული პოლიტიკა ევროკავშირში. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 35-37; 151-161; Close, Caroline, and Emilie van Haute. 2019. Liberal Parties in Europe: Conclusion. In Liberal Parties in Europe, Caroline Close and Emilie van Haute (eds.). London and New York: Routledge, pp. 364-371.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Close, Caroline, and Emilie van Haute (eds). 2019. Liberal Parties in Europe. London and New York: Routledge. Kirchner, Emil. 1988. Liberal Parties in Western Europe. Cambridge: Cambridge University Press.
მე-11 კვირა		**📖 თემა 8. მწვანეთა მოძრაობა და ევროპის მწვანეთა პარტია** **განსახილველი საკითხები:** • **მწვანე მოძრაობის იდეოლოგიური საფუძვლები;** • **მწვანე პარტიები ევროპაში.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		მწვანე ალტერნატივა. 2013. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. გვ. 3-23. Van Haute, Emilie. 2016. Conclusion: Green Parties in Europe: Which Family Ties? In Green Parties in Europe, Emilie van Haute (ed.). London: Routledge, pp. 315-321.

		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Biedenkopf, Katja, Ellen Vanderschueren, and Franziska Petri. 2023. Riding the Green Wave? Green Electoral Success and the European Green Deal. In The EU Political System After the 2019 European Elections, Olivier Costa, and Steven Van Hecke (eds). Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan. Burchell, Jon. 2002. The Evolution of Green Politics: Development and Change within European Green Politics. London: Earthscan Publications Limited.
მე-12 კვირა		🕮 **თემა 9. მემარჯვენე პოპულიზმი** **განსახილველი საკითხები:** • **პოპულიზმი, როგორც საპროტესტო მოძრაობა;** • **მემარჯვენე პოპულიზმის საერთო თვისებები.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		Priester, Karin. 2018. Right-Wing Populism in Europe. In Populism, Populists, and the Crisis of Political Parties A Comparison of Italy, Austria, and Germany 1990-2015, Günther Pallaver, Michael Gehler and Maurizio Cau (eds.), Fondazione Bruno Kessler, pp. 45-56. ქვიზი IV.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Rodi, Patricia, Lazaros Karavasilis, and Leonardo Puleo. 2021. "When Nationalism Meets Populism: Examining Right-Wing Populist and Nationalist Discourses in the 2014 & 2019 European Parliamentary Elections." European Politics and Society 24 (2), pp. 284–302. Sondel-Cedarmas, Joanna and Francesco Berti. 2022. The Right-Wing Critique of Europe: Nationalist, Sovereignist, and Right-Wing Populist Attitudes to the EU. London: Routledge.
მე-13 კვირა		🕮 **თემა 10. მემარჯვენე პოპულიზმი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში** **განსახილველი საკითხები:** • **მემარჯვენე პოპულიზმის ძირითადი მახასიათებლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში;** • **არის თუ არა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მემარჯვენე პოპულიზმი გამორჩეული ფენომენი?**
		სავალდებულო ლიტერატურა
		Enyedi, Zsolt. 2020. "Right-Wing Authoritarian Innovations in Central and Eastern Europe", East European Politics, 36 (3), pp. 363-377. ქვიზი V.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Petrović, Nikola, Višeslav Raos, and Filip Fila. 2022. "Centrist and Radical Right Populists in Central and Eastern Europe: Divergent Visions of History and the EU." Journal of Contemporary European Studies 31 (2), pp. 268–90. Szelewa, Dorota. 2020. "Recurring Ideas: Searching for the Roots of Right-Wing Populism in Eastern Europe." European Journal of Cultural Studies 23 (6).
მე-14 კვირა		🕮 **თემა 11. მემარცხენე პოპულიზმი** **განსახილველი საკითხები:** • **ძირითადი მახასიათებლები;** • **სოციალიზმსა და პოპულიზმს შორის.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		Agustín, Óscar García. 2020. Left Wing Populism: The Politics of People. Emerald Points, pp. 13-31. ქვიზი VI.

		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Damiani, Marco. 2018. Radical Left Wing Populism and Democracy in Europe. In Routledge Handbook of Global Populism, Carlos de la Torre (ed.). London: Routledge. Stavrakakis, Yannis, and Giorgos Katsambekis. 2014. "Left-Wing Populism in the European Periphery: The Case of SYRIZA." Journal of Political Ideologies 19 (2), pp. 119–42.
მე-15 კვირა		🕮 **თემა 12. ევროკავშირის პარტიული პოლიტიკური ორგანიზაციები და მათი როლი** **განსახილველი საკითხები:** • **ევროპის პარტიული პოლიტიკური ორგანიზაციების კატეგორიები;** • **ევროპარტიები და ევროპარალამენტი;** • **ევროპარტიები და ევროკომისია.**
		სავალდებულო ლიტერატურა
		ნანობაშვილი, იოსებ. 2023. პარტიული პოლიტიკა ევროკავშირში. გამომცემლობა „მერიდიანი", გვ. 53-61; 81-95.
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		Calossi, Enrico, and Lorenzo Cicchi. 2019. European Parliament Political Groups and European Political Parties: Development and Relationship between Two Faces of the EU Political System. Quaderni del circolo rosselli (QCR) 39 (2), pp. 15-31. Johansson, Karl Magnus, and Tapio Raunio. "Political Parties in the European Union." Oxford Research Encyclopedia of Politics.
მე-16 კვირა		🕮 **თემა 13. ჯგუფური პრეზენტაციები**
მე-17- მე-19 კვირა		**დასკვნითი გამოცდა**
მე-20 კვირა		**დასკვნითი გამოცდის აღდგენა და გადაბარება**